დებულება სკოლის გადასახადებისა და გადახდის წესის შესახებ

(ეს დებულება არ ვრცელდება საერთაშორისო ორგანიზაციების/წარმომადგენლობების თანამშრომლებზე, რომლებიც დამსაქმებლისგან სპეციალურ სახელფასო დანამატს იღებენ)

1. რეგისტრაციის გადასახადი და სწავლის საფასური

თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლაში სწავლა ფასიანია. სკოლაში მიღებისას გადასახდელია რეგისტრაციის ერთჯერადი საფასური. რეგისტრაციის გადასახადის დროული გადახდის გარეშე ბავშვი სკოლაში არ ჩაირიცხება.

თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა მშობელთა ინიციატივაზე დაფუძნებული კერძო სკოლაა, რომელიც ფინანსდება მშობელთა მიერ დაფარული გადასახადებებიდან, გერმანული სკოლის კავშირის საწევრო გადასახადებებიდან, სპონსორებისა და სხვა მხარდამჭერი ორგანიზაციების, მათ შორის საუწყებო შემოწირულობებიდან. სწავლის საფასურით იფარება სკოლის ხარჯები, ვინაიდან სკოლა არ არის კომერციული ორგანიზაცია.

რეგისტრაციის გადასახადი და სწავლის საფასური თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლაში:

2023/2024 სასწავლო წელი	
რეგისტრაციის ერთჯერადი გადასახადი	1.600 ლარი

2023/2024 სასწავლო წელი	**სკოლის გადასახადი** (კვების გარეშე)	**კვება**	**ერთიანი საფასური**
საბავშვო ბაღი გახანგრძლივებულით და კვებით	7.776 ლარი	დამატებით 2.080 ლარი	9.856 ლარი
მოსამზადებელი ჯგუფი გახანგრძლივებულით და კვებით	10.240 ლარი	დამატებით 2.080 ლარი	12.320 ლარი
დაწყებითი საფეხური გახანგრძლივებულით, წრეებით და კვებით	12.912 ლარი	დამატებით 1.872 ლარი	14.784 ლარი
საბაზო საფეხური (5-6 კლ.) წრეებით	12.912 ლარი	არჩევით (1.872 ლარი)	14.784 ლარი (კვების ჩათვლით)
საბაზო საფეხური (7-10 კლ.) წრეებით	15.376 ლარი	არჩევით (1.872 ლარი)	17.248 ლარი (კვების ჩათვლით)
საშუალო საფეხური (11-12 კლ.)	17.840 ლარი	არჩევით (1.872 ლარი)	19.712 ლარი (კვების ჩათვლით)

გადასახადის შეღავათი მეორე (უმცროსი) და შემდგომ ბავშვზე: 10 პროცენტი. შეღავათი მოქმედებს იმ პერიოდის განმავლობაში, როცა და-ძმა დადის სკოლაში და ავტომატურად უქმდება, როცა ერთ-ერთი ამოირიცხება სკოლიდან.

1.2. სკოლასა თუ საბავშვო ბაღში ბავშვის რეგისტრაციისას გადასახდელია შესაბამისი ერთჯერადი გადასახადი. ბავშვის ჩარიცხვა წარმოებს მხოლოდ რეგისტრაციის გადასახადის გადახდის შემდეგ. სკოლაში არ გამოცხადების შემთხვევაში რეგისტრაციის გადასახადი არ ანაზღაურდება.

1.3. დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაციისას ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად წინასწარ გადასახდელია სწავლის 3 თვის საფასური. ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს გაზაფხულზე, სკოლაში მისაღები პროცედურის დასრულებისთანავე. აღნიშნული თანხა გამოაკლდება პირველი კლასის გადასახადს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირველ კლასში ადგილის მიღების გარანტიას სკოლა მშობელს ვერ მისცემს. თუ მოსწავლე, თანხის გადახდის მიუხედავად, სკოლაში არ გამოცხადდება, ეს გადასახადი არ ანაზღაურდება.

1.4. თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლას შეუძლია მიიღოს სტუმრის სტატუსის მქონე მოსწავლეები. მათ უნდა გადაიხადონ მხოლოდ იმ თვეების სწავლის საფასური, რა ვადითაც რჩებიან სკოლაში. მოცემულ შემთხვევაში და-ძმისთვის არსებული ფასდაკლება არ მოქმედებს, 3 თვეზე მეტი ხნით სკოლაში დარჩენის შემთხვევაში, სტუმრის სტატუსის მქონე მოსწავლემაც უნდა გადაიხადოს რეგისტრაციის საფასური.

1.5. გადასახადი ფარავს არასაგაკვეთილო დროს წარმოშობილ ხარჯებსაც (ქირა, ხელფასი, მიმდინარე ხარჯები და სხვა).

1.6. სკოლის, მოსამზადებელი ჯგუფისა და საბავშვო ბაღის გადასახადი მოიცავს საგაკვეთილო პროცესთან დაკავშირებულ ხარჯებს. სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების, სასკოლო ექსკურსიებისა და სხვა სკოლისგარეშე აქტივობების ხარჯები გადაიხდება ცალკე.

2. სკოლიდან ამორიცხვა/ხელშეკრულების გაუქმება

2.1. სკოლიდან ამორიცხვის/ხელშეკრულების გაუქმების წესი განსაზღვრულია საბავშვო ბაღისა და სკოლის ხელშეკრულებაში.

3. გადახდის წესი

3.1. სკოლის, საბავშვო ბაღისა და მოსამზადებელი ჯგუფების გადასახადი შესაძლოა დაიფაროს სრულად ან ნახევრად ქვემოთ მოცემულ სკოლის კავშირის საბანკო ანგარიშებიდან ერთ ერთზე თანხის წინასწარი გადარიცხვით. წლიური გადასახადის 1 სრული წინასწარი დაფარვისას გათვალისწინებულია 3 პროცენტი ფასდაკლება.

გადახდა შესაძლებელია ევროშიც თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის გერმანიაში არსებულ საბანკო ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

პროკრედიტ ბანკი საქართველო, IBAN GE56PC0133600100052668
პროკრედიტ ბანკი გერმანია, IBAN DE5850 2108 0000 3226 0004

ტრანზაქციის ხარჯები უნდა დაიფაროს გადამხდელის მიერ.

3.2. სკოლის, საბავშვო ბაღისა თუ მოსამზადებელი ჯგუფის პირველი სემესტრის გადასახადი სკოლის ანგარიშზე უნდა ჩაირიცხოს ყოველი კალენდარული წლის 1 აგვისტომდე, ხოლო მეორე სემესტრის გადასახადი უნდა დაიფაროს ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრამდე. ამ წესისგან განსხვავებული გადახდის განრიგის დაშვებისთვის საჭიროა მშობლის წერილობითი განაცხადი და გამგეობის თანხმობა.

3.3. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში, საბავშვო ბაღსა თუ მოსამზადებელ ჯგუფში ბავშვის ჩარიცხვისას გადასახადი უნდა დაიფაროს წინასწარ ჩარიცხვის დღიდან, სემესტრის ან სრული სასწავლო წლისათვის. მთელი თვის გადასახადი უნდა დაიფაროს სრულად, მიუხედავად სწავლის დაწყების თარიღისა.

3.4. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის, საბავშვო ბაღისა თუ მოსამზადებელი ჯგუფის დატოვების შემთხვევაში, დაწყებული სემესტრის გადასახადი არ ანაზღაურდება, პირველი სემესტრი იწყება აგვისტოში და გრძელდება ივლისის ჩათვლით. მეორე სემესტრი იწყება თებერვალში და გრძელდება ივლისის ჩათვლით. მეორე სემესტრის გადასახადისგან განთავისუფლება დასაშვებია, თუ ხელშეკრულების გაუქმება მოხდება ხელშეკრულებაში მითითებული ვადების დაცვით.

3.5. გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლება არ არის გათვალისწინებული, თუ მოსწავლე სკოლას დროებით ტოვებს (მაგ. მონაწილეობა სასკოლო გაცვლით პროგრამაში, მათ შორის საზღვარგარეთ). გამონაკლისი დაიშვება სკოლის გამგეობის შესაბამისი გადაწყვეტილებით.

4. გაფრთხილება და გადასახადის არგადახდისა და/ან დაგვიანების შედეგები

4.1. იმ შემთხვევაში თუ სკოლის, მოსამზადებელი ჯგუფისა და საბავშვო ბაღის საფასური ვადის გასვლიდან 30 დღის განმავლობაში არ იქნება დაფარული, მშობლები მიიღებენ წერილობით გაფრთხილებას. ხოლო თუ სწავლის საფასურის დაფარვა არ მოხდება ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში, სწავლის საფასურს ყოველ დაგვიანებულ დღეზე დაერიცხება საურავი თანხის 4 %–ის ოდენობით. თუ სწავლის საფასური და საურავი არ დაიფარება გაფრთხილების მიუხედავად, ყოველ შემდგომ გაფრთხილებაზე დამატებით დაირიცხება <u>ადმინისტრაციული ხარჯი</u> 150 ლარის ოდენობით.

4.2. იმ შემთხვევაში თუ გაფრთხილებამ შედეგი არ გამოიღო ან გადახდაზე უარი ითქვა, შესაძლებელია მოსწავლე არ დაიშვას გაკვეთილებზე.

5. გადასახადის გაზრდა

თუ რეალური ხარჯები ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს აღემატება, და თუ სკოლის შემოსავალი ბიუჯეტით გათვალისწინებულ შემოსავალზე დაბალია, დაიშვება სწავლის საფასურის გაზრდა მომდევნო სასწავლო წლისათვის.

6. შეღავათები

შემოსავლების სიმცირიდან გამომდინარე სკოლის მხრიდან საშეღავათო შემოთავაზებები შეზღუდულია.

სკოლას აფინანსებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. აქედან გამომდინარე, სკოლა ვალდებულია გადახედოს და გადაამოწმოს დაბალი შემოსავლის ან დროებით ფინანსური პრობლემების მქონე ოჯახების საშეღავათო წინადადებები, პირველ რიგში, გერმანიის მოქალაქეობის მქონე ბავშვებისთვის და შემდეგ სხვა შემთხვევებისთვის. საშეღავათო პირობის მისაღებად სკოლის გამგეობას უნდა გაეგზავნოს წერილობითი განაცხადი (განაცხადის ფორმის და დამატებითი ინფორმაციის მიღება სკოლის სამდივნოშია შესაძლებელი).

განიხილება მხოლოდ ის განაცხადები, რომლებიც განმცხადებლის მიერ საჭირო დოკუმეტაციით სრულყოფილად იქნება მოწოდებული.

საშეღავათო პირობები ძალაშია მხოლოდ მიმდინარე სასწავლო წელს და მისი გაგრძელების შესაძლებლობა ყოველ მომდევნო სასწავლო წლისთვის ახლიდან განიხილება.

7. საერთაშორისო ორგანიზაციების/წარმომადგენლობების თანამშრომლები

ეს დებულება არ ვრცელდება საერთაშორისო ორგანიზაციების/წარმომადგენლობების თანამშრომლებზე, რომლებიც დამსაქმებლისგან სპეციალურ სახელფასო დანამატს იღებენ. აღნიშნულ პირები სკოლის გადასახადს გადაიხდიან განსაკუთრებული წესით. დეტალური ინფორმაცია გაიცემა შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში.